განმარტებითი ბარათი
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზეზია მასწავლებლის მომზადების სისტემის გაუმჯობესება და მასწავლებლის განათლებასა და პროფესიულ ზრდასთან დაკავშირებული მოთხოვნების სრულყოფა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ჰარმონიზება და მასწავლებლის განათლებასთან და პროფესიულ ზრდასთან დაკავშირებული მოთხოვნების სრულყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, 46-ე მუხლით გათვალისწინებულ პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებს ემატება მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორის არჩევის უფლებამოსილება. ტერმინი ,,ფასილიტატორი” გამოიყენება განათლების სისტემაში და ნიშნავს სპეციალური მომზადებისა და ცოდნის მქონე ადამიანს, რომელიც ეხმარება სხვა მასწავლებელს და ცდილობს გადასცეს თავისი გამოცდილება. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი (მენტორი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც აირჩევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით. ასეთი სამართლებრივი აქტი უკვე გამოცემულია და კანონში ამ ცვლილების შეტანის შემდეგ ფასილიტატორის არჩევა კანონის საფუძველზე განხორციელდება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით არ დგინდება ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია.

.